საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
GEORGIAN NATIONAL UNIVERSITY SEU

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები

თბილისი
2020

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს (შემდგომში-უნივერსიტეტი ან სეუ) სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების დებულება (შემდგომში-დებულება) განსაზღვრავს იმ სტუდენტთა კატეგორიას, რომლებსაც უნივერსიტეტი გაუწევს შეღავათებს და ადგენს მათთთვის მხარდაჭერის გაწევის მექანიზმებს.
2. უნივერსიტეტი სწავლის საფასურის გადახდისას შეღავათებს უწესებს სხვადასხვა კატეგორიის სტუდენტებს და სოციალურად მოწყვლად სტუდენტებს (შემდგომში-სტუდენტი);
3. სოციალურად მოწყვლად სტუდენტებს შეღავათები გაეწევათ თუ წინა სემესტრის აკადემიური მოსწრების მაჩვენებლით მიღებული აქვთ შეფასება მინიმუმ 61 ქულა.
4. სოციალურად მოწყვლად სტუდენტს შეღავათი გაეწევა **740 ლარის** ფარგლებში.
5. სოციალურად მოწყვლად სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში მიღებული შეღავათები არ უნდა აღემატებოდეს მის მიერ უნივერსიტეტში სემესტრში გადასახდელი სწავლის საფასურის ოდენობას.
6. უნივერსიტეტი სწავლის საფასურის გადახდისას შეღავათებს ადგენს ყოველ სასწავლო წელს სხვადასხვა კატეგორიის სტუდენტებზე რექტორის ბრძანების საფუძველზე და უზრუნველყოფს მის გაცნობას აბიტურიენტებისათვის/სტუდენტებისათვის.
7. უნივერსიტეტი სწავლის საფასურის გადახდისას შეღავათებს ადგენს ყოველ სასწავლო წელს შემდეგ კატეგორიებზე და სახით:

   ა) გრანტიანის შეღავათი - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ნებისმიერი ოდენობის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელ ყველა სტუდენტთათვის;

   ბ) ფინანსური შეღავათი - ცხინვალის რეგიონიდან, აფხაზეთიდან დევნილ სტუდენტთა და საინგილოში მცხოვრებ სტუდენტთათვის (სეუ-ს პირველ ნომრად არჩევის შემთხვევაში);

   გ) მედალოსნის შეღავათი - ოქროსა და ვერცხლის მედალოსან სტუდენტთათვის (სეუ-ს პირველ ნომრად არჩევის შემთხვევაში);

   დ) სეუ სტიპენდია.

   ე) ფინანსური შეღავათი - საგარეჯოს რაიონ სოფელ პატარძეულის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის.

   ვ) სეუ-ს წარჩინებული კურსდამთავრებულის სამაგისტრო შეღავათი.

   ზ) სეუ-ს კურსდამთავრებულის სამაგისტრო შეღავათი.
8. ამ მუხლის მე-7 პუნქტში დადგენილი შეღავათების ოდენობა იცვლება ყოველწლიურად და მტკიცდება რექტორის ბრძანებით.
9. ამ მუხლის მე-7 პუნქტში დადგენილი შეღავათების გარდა შესაძლებელია რექტორმა ყოველ სასწავლო წელს დამატებით დაადგინოს სხვა სახის შეღავათები.

მუხლი 2. სოციალურად მოწყვლად სტუდენტთა კატეგორია

1. უნივერსიტეტის სოციალურად მოწყვლად სტუდენტთა კატეგორია, რომლებსაც გაეწევათ შეღავათი სწავლის საფასურის გადახდისას:

   ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (შშმპ) (მკვეთრად გამოხატული; მნიშვნელოვნად გამოხატული);

   ბ) სოციალურად დაუცველი;

   გ) დედ-მამით ობოლი.

2. უნივერსიტეტმა სახელმწიფოში შექმნილი ფორსმაჟორული (მიწისძვრა, წყალდიდობა, სტიქიური უბედურობები) ან საგანგებო (საომარი და სხვა მდგომარეობა) მდგომარეობის დროს

ერთჯერადად შეიძლება დააწესოს დამატებით სხვა კატეგორიის სოციალურად მოწყვლად სტუდენტებზეც შეღავათები.

მუხლი 3. წარსადგენი დოკუმენტაცია

1. სტუდენტი უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდისას შეღავათით სარგებლობის მიზნთ ვალდებულია ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სწავლის საფასურის გადახდის ნაწილობრივი შემცირების მოთხოვნით.
2. რექტორის ბრძანებით იქმნება კომისია, რომელიც იმსჯელებს მათთვის შეღავათის დაწესების თაობაზე. კომისიის გადაწყვეტილებამადე სტუდენტს დროებით უჩერდება ფინანსური ვალდებულება უნივერსიტეტის მიმართ.
3. სტუდენტმა განცხადებას უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტები:

   ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა:
   ა.ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ასლი);
   ა.ბ) სამედიცინო-საექსპერტო კომისიის დასკვნა;
   ბ) სოციალურად დაუცველმა:
   ბ.ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ასლი);
   ბ.ბ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;
   გ) დედ-მამით ობოლმა:
   გ.ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ასლი);
   გ.ბ) დაბადების მოწმობა;
   გ.გ) მშობლების გარდაცვალების მოწმობა;

4. სტუდენტთა განცხადებების რეგისტრაცია ხდება უნივერსიტეტის კანცელარიაში და განსახილველად წარედგინება რექტორის მიერ შექმნილ კომისიას.

მუხლი 4. კომისიის სტრუქტურა, უფლება-მოვალეობანი და მუშაობის წესი

1. სტუდენტთა განცხადებებს იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს სპეციალურად შექმნილი კომისია.
2. სტუდენტის განცხადების განხილვის პერიოდში, მას გადაუვადდება სწავლის საფასურის გადახდის ვადა კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.
3. კომისია იქმნება რექტორის ბრძანების საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს კომისიის წევრთა შემადგენლობას.
4. კომისია თავის უფლებამოსილებას ახორციელებს კომისიის სხდომებზე, რომელიც იმართება განცხადებების მიღების ვადის ამოწურვიდან ერთი კვირის ვადაში. თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას კომისია ხელმძღვანელობს დამოუკიდებლობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებით.
5. კომისიას ხელმძღვანელობს და მის სხდომებს წარმართავს კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარე ამავდროულად შეიძლება იყოს უნივერსიტეტის რექტორიც.
6. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
7. გადაწყვეტილების მიღება ხდება კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

8. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის დამსწრე წევრები და კომისიის მდივანი.

9. კომისიის თავმჯდომარე:

ა) წარმართავს კომისიის მუშაობას;

ბ) განსაზღვრავს კომისიის სხდომების დღის წესრიგსა და უზრუნველყოფს სხდომაზე დღის წესრიგში შემავალი საკითხების განხილვას;

გ) თავმჯდომარეობს კომისიის სხდომებს;

დ) ზედამხედველობს კომისიის წევრების მიერ მოვალეობათა შესრულებას;

10. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეგზავნება შესაბამის სამსახურებს ინფორმაციის მიზნით.

11. სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს უნივერსიტეტში დაწესებული შეღავათებიდან (სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერა, სეუ-ს თანადაფინანსება, სეუ სტიპენდია), მხოლოდ ერთ-ერთით.